

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	3-4
--------------------------------------	-----

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
1. ძირითადი საქმიანობა.....	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	10
4. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	20
5. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	20
6. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	20
7. სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	21
8. გადასახადები	21
9. გადავადებული აკვიზაციური ხარჯები.....	22
10. ძირითადი საშუალებები	23
11. საინვესტიციო ქონება	24
12. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	24
13. სხვა აქტივები.....	25
14. კაპიტალი.....	25
15. სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, გადაზღვევის აქტივი	26
16. გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	28
17. გაცემული სესხები და ნასესხები სახსრები	28
18. სხვა ვალდებულებები.....	28
19. პირობითი ვალდებულებები.....	28
20. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	29
21. საპროცენტო შემოსავალი	29
22. სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	29
23. წმინდა სადაზღვევო ხარჯები.....	29
24. აკვიზიციის ხარჯი.....	30
25. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი.....	30
26. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	30
27. გაუფასურების ხარჯი	30
28. მოგება საკურსო სხვაობიდან.....	31
29. რისკის მართვა	31
30. სამართლიანი ღირებულების იერარქია	36
31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	37
32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის აქციონერსა და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ფინანსური აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენ მოვლით, რომ მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებითად თანხვედნილი და მარეგულირებელ ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის განცხადება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თადართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სოფიკო ღუღუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

მპს „ნელსია თიეი“ (SARAS-F-550338)

23 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვვალევა ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სოფიკო ღუღუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თიბი“ (SARAS-F-550338)

26 აპრილი, 2021

თბილისი, საქართველო



სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	9,326	2,994
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5	15,775	13,588
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	6	7,363	6,434
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	7	23,860	29,629
გადაზღვევის აქტივი	15	217	297
გაცემული სესხები	17	1,270	1,215
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	248	228
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	9	1,519	926
ძირითადი საშუალებები	10	4,409	6,166
საინვესტიციო ქონება	11	9,352	9,352
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	12	5,518	5,519
სხვა აქტივები	13	1,230	1,078
სულ აქტივები		80,087	77,426
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	7,503	7,503
დამატებით შეტანილი კაპიტალი	14	16,426	16,426
გაუნაწილებელი მოგება		7,856	2,831
სულ კაპიტალი		31,785	26,760
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	15	29,980	31,668
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	16	7,120	5,791
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		586	870
ნასესხები სახსრები	17	5,299	7,450
სხვა ვალდებულებები	18	5,317	4,887
სულ ვალდებულებები		48,302	50,666
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		80,087	77,426

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გივი გიორგაძე:

გენერალური დირექტორის მოადგილე
 ნოდარ გელოვანი:

თბილისი, საქართველო
 26 აპრილი 2021

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია		69,494	75,355
საკომისიო შემოსავალი		-	1,494
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	20	69,494	76,849
საპროცენტო შემოსავალი	21	2,705	1,427
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	847	68
სულ სხვა შემოსავალი		3,552	1,495
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები, წმინდა		(49,958)	(57,755)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში		514	(2,231)
სადაზღვევო ანაზღაურების ხარჯები		(1,461)	(1,320)
წმინდა სადაზღვევო ხარჯები	23	(50,905)	(61,306)
აკვიზიციის ხარჯები	24	(2,613)	(2,801)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	25	(5,570)	(4,881)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	26	(1,671)	(1,526)
ცვთის და ამორტიზაციის ხარჯი	9; 10	(1,190)	(1,101)
გაუფასურების ხარჯი	27	(2,049)	(481)
საპროცენტო ხარჯი	21	(909)	(699)
მოგება საკურსო სხვაობიდან	28	829	210
სხვა საოპერაციო ხარჯები		(127)	(99)
სულ სხვა ხარჯები		(13,300)	(11,378)
მოგება დაბეგრვამდე		8,841	5,660
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(1,366)	(856)
წლის წმინდა მოგება		7,475	4,804
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		7,475	4,804

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
გივი გიორგაძე:

გენერალური დირექტორის მოადგილე
ნოდარ გელოვანი:

თბილისი, საქართველო
26 აპრილი 2021

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2018	7,503	16,426	(472)	23,457
პერიოდის მოგება და მთლიანი	–	–	4,804	4,804
კომპანიის აქციონრებზე გაცემული დივიდენდები	–	–	(1,500)	(1,500)
31 დეკემბერი, 2019	7,503	16,426	2,831	26,760
პერიოდის მოგება და მთლიანი	–	–	7,475	7,475
კომპანიის აქციონრებზე გაცემული დივიდენდები	–	–	(2,450)	(2,450)
31 დეკემბერი, 2020	7,503	16,426	7,856	31,785

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გივი გიორგაძე:

გენერალური დირექტორის მოადგილე
 ნოდარ გელოვანი:

თბილისი, საქართველო
 26 აპრილი 2021

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	70,611	74,842
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	(49,328)	(56,537)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	(1,837)	(2,487)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი	(5,618)	(4,890)
საქონლისა და მომსახურების სხვა მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხა	(2,133)	(2,135)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	2,473	905
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	(872)	(490)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის დაბეგვრამდე	13,295	9,207
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,630)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	11,665	9,207
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ვადის გასვლამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდების შეძენა	(887)	(5,708)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(262)	(113)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(146)	-
საკრედიტო დაწესებულებებში თანხის განთავსება	(16,742)	(12,088)
საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხების გამოტანა	15,520	9,858
შემოდინება ძირითადი საშუალებების რეალიზაციით	2,578	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	61	(8,051)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხები	6,000	6,940
დაფარული სესხები	(8,400)	(5,515)
გადახდილი დივიდენდები	(2,625)	(625)
გადახდილი პროცენტი	(840)	(577)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	(5,865)	222
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და მის ეკვივალენტებზე	470	(10)
წმინდა წვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	6,332	1,369
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით	2,994	1,625
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,326	2,994

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გივი გიორგაძე:

გენერალური დირექტორის მოადგილე
 ნოდარ გელოვანი:

თბილისი, საქართველო
 26 აპრილი 2021

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 (ათას ლარში)

	შენიშვნები	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	9,326	2,994
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5	15,775	13,588
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	6	7,363	6,434
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	7	23,860	29,629
გადაზღვევის აქტივი	15	217	297
გაცემული სესხები	17	1,270	1,215
გადავადებული საგადასახადო აქტივი	8	248	228
გადავადებული აკვიზიციური ხარჯები	9	1,519	926
ძირითადი საშუალებები	10	4,409	6,166
საინვესტიციო ქონება	11	9,352	9,352
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	12	5,518	5,519
სხვა აქტივები	13	1,230	1,078
სულ აქტივები		80,087	77,426
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	14	7,503	7,503
დამატებით შეტანილი კაპიტალი	14	16,426	16,426
გაუნაწილებელი მოგება		7,856	2,831
სულ კაპიტალი		31,785	26,760
ვალდებულებები			
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	15	29,980	31,668
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	16	7,120	5,791
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		586	870
ნასესხები სახსრები	17	5,299	7,450
სხვა ვალდებულებები	18	5,317	4,887
სულ ვალდებულებები		48,302	50,666
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		80,087	77,426

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გივი გიორგაძე:

თბილისი, საქართველო
 26 აპრილი 2021

გენერალური დირექტორის მოადგილე
 ნოდარ გელოვანი:

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

	შენიშვნა	2020	2019
სადაზღვევო ხელშეკრულებებით მიღებული მთლიანი სადაზღვევო პრემია		69,494	75,355
საკომისიო შემოსავალი		-	1,494
წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	20	69,494	76,849
საპროცენტო შემოსავალი	21	2,705	1,427
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	847	68
სულ სხვა შემოსავალი		3,552	1,495
ანაზღაურებული სადაზღვევო ზარალები, წმინდა		(49,958)	(57,755)
წმინდა ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში		514	(2,231)
სადაზღვევო ანაზღაურების ხარჯები		(1,461)	(1,320)
წმინდა სადაზღვევო ხარჯები	23	(50,905)	(61,306)
აკვიზიციის ხარჯები	24	(2,613)	(2,801)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	25	(5,570)	(4,881)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	26	(1,671)	(1,526)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	9; 10	(1,190)	(1,101)
გაუფასურების ხარჯი	27	(2,049)	(481)
საპროცენტო ხარჯი	21	(909)	(699)
მოგება საკურსო სხვაობიდან	28	829	210
სხვა საოპერაციო ხარჯები		(127)	(99)
სულ სხვა ხარჯები		(13,300)	(11,378)
მოგება დაბეგრვამდე		8,841	5,660
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(1,366)	(856)
წლის წმინდა მოგება		7,475	4,804
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		7,475	4,804

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი

გივი გიორგაძე:

თბილისი, საქართველო

26 აპრილი 2021

გენერალური დირექტორის მოადგილე

ნოდარ გელოვანი:

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
 კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	აკუმულირებული მოგება / (ზარალი)	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი, 2018	7,503	16,426	(472)	23,457
პერიოდის მოგება და მთლიანი	–	–	4,804	4,804
კომპანიის აქციონრებზე გაცემული დივიდენდები	–	–	(1,500)	(1,500)
31 დეკემბერი, 2019	7,503	16,426	2,831	26,760
პერიოდის მოგება და მთლიანი	–	–	7,475	7,475
კომპანიის აქციონრებზე გაცემული დივიდენდები	–	–	(2,450)	(2,450)
31 დეკემბერი, 2020	7,503	16,426	7,856	31,785

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გივი გიორგაძე:

თბილისი, საქართველო
 26 აპრილი 2021

გენერალური დირექტორის მოადგილე
 ნოდარ გელოვანი:

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	70,611	74,842
გადახდილი სადაზღვევო ზარალები	(49,328)	(56,537)
გადახდილი აკვიზიციური ხარჯები	(1,837)	(2,487)
გადახდილი ხელფასები და სარგებელი	(5,618)	(4,890)
საქონლისა და მომსახურების სხვა მომწოდებლებისთვის გადახდილი თანხა	(2,133)	(2,135)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	2,473	905
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	(872)	(490)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის დაბეგვრამდე	13,295	9,207
გადახდილი მოგების გადასახადი	(1,630)	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	11,665	9,207
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ვადის გასვლამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდების შეძენა	(887)	(5,708)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(262)	(113)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(146)	-
საკრედიტო დაწესებულებებში თანხის განთავსება	(16,742)	(12,088)
საკრედიტო დაწესებულებებში განთავსებული თანხების გამოტანა	15,520	9,858
შემოდინება ძირითადი საშუალებების რეალიზაციით	2,578	-
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	61	(8,051)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხები	6,000	6,940
დაფარული სესხები	(8,400)	(5,515)
გადახდილი დივიდენდები	(2,625)	(625)
გადახდილი პროცენტი	(840)	(577)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / (გამოყენებული) ფულადი ნაკადები	(5,865)	222
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულსა და მის ეკვივალენტებზე	470	(10)
წმინდა წვლილება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში	6,332	1,369
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 1 იანვრის მდგომარეობით	2,994	1,625
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, 31 დეკემბრის მდგომარეობით	9,326	2,994

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

გენერალური დირექტორი
 გივი გიორგაძე:

გენერალური დირექტორის მოადგილე
 ნოდარ გელოვანი:

თბილისი, საქართველო
 26 აპრილი 2021

9-39 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. ძირითადი საქმიანობა

1998 წლის 11 აგვისტოს დაარსდა სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“ (შემდგომში „ალდაგი“) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2014 წელს ალდაგმა განიცადა რეორგანიზაცია ჯანმრთელობის დაზღვევისა და ქონების რისკების დაზღვევის მიმართულების ერთმანეთისგან გამიჯვნის მიზნით. რეორგანიზაცია 2014 წლის 31 ივლისს დასრულდა, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ორი კომპანიის შექმნით: სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“ (შემდგომში „იმედი L“, ან „კომპანია“) და სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“. იმედი L-ს დარჩა გადასახადის გადამხდელის ძველი საიდენტიფიკაციო ნომერი - 204919008 და ითვლება ძველი კომპანიის სამართალმემკვიდრედ.

იმედი L-ის ჯანმრთელობის დაცვის ბიზნესი მოიცავს პირადი რისკის დაზღვევის ფართო სპექტრის მომსახურებას: კრიტიკული დაავადებების, უბედური შემთხვევის, სიცოცხლის რისკების ვადიანი დაზღვევის და სხვა მომსახურებას, და მათ ჯანმრთელობისა და მოგზაურობის დაზღვევის პოლისებთან ერთად სთავაზობს კორპორატიულ თუ საცალო კლიენტებს. იმედი L ფლობს საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემულ ორი ტიპის სადაზღვევო ლიცენზიას სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის მომსახურებისთვის.

კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, და ასევე აქვს სერვისცენტრები თბილისში, ბათუმში, ფოთში, ქუთაისში, ზუგდიდში, თელავში, ახალციხეში, რუსთავსა და გორში. კომპანიის იურიდიული მისამართი არის ანა პოლიტოვსკაიას ქუჩა N9, 0154 თბილისი.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის აქციონერია სს „საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფი“ – 100%, რომლის ერთპიროვნული მფლობელი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალი“, დაფუძნებული გაერთიანებულ სამეფოში, რომლის აქციებიც განთავსებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე.

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად, რომლებიც ძალაშია 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებს, ასევე განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის აღნიშნული. თანხები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტა - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. კომპანიამ 2020 წელს გამოიმუშავა 7,475 ლარის წმინდა მოგება (2020: 4,808) და 11,665 ლარის დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან (2019: 9,207). ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით ხელმძღვანელობას მიაჩნია რომ კომპანია თავისი ვალდებულებების გადახდისუნარიანია.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, სადაზღვევო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების თარიღიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ცვლილება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში

კომპანიამ შეცვალა მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენის ფორმატი. მოხდა გარკვეული მუხლის გადასინჯვა რომ უფრო ჯეროვნად წარდგენილიყო მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კუთხით რაც უფრო შეესაბამება სადაზღვევო სექტორის საუკეთესო პრაქტიკას.

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	რეკლასიფიკაცი ამდე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
სხვა საოპერაციო შემოსავალი	1,562	(1,494)	68
საკომისიო შემოსავალი	-	1,494	1,494

2020 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ჩაემატა „წმინდა სადაზღვევო შემოსავლის“ მუხლი, რომელშიდაც 2020 და 2019 წლების საანგარიშგებო პერიოდებში შევიდა მხოლოდ სადაზღვევო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და სხვა შემოსავალში არის ნაჩვენები არასადაზღვევო შემოსავლები.

მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების წარდგენაში შესული ცვლილების გამო, 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში გარკვეული რეკლასიფიკაცია მოხდა, რომ შესაბამისობაში მოსულიყო 2020 წლის 31 დეკემბრის წარდგენასთან.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	რეკლასიფიკაციამ დე	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიკაციის შემდეგ
მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	1,047	(177)	870
სხვა ვალდებულებები	4,710	177	4,887

სადაზღვევო ხელშეკრულებები

სადაზღვევო ხელშეკრულებები ნიშნავს ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის ატარებს მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს, ან ისეთ ხელშეკრულებებს, რომლებიც გაფორმების მომენტისთვის შეიცავს კომერციული შინაარსის ისეთ სცენარს, რომლის მიხედვითაც დაზღვევის რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი მოცულობის იყოს. სადაზღვევო რისკის მნიშვნელოვანი მოცულობა დამოკიდებულია როგორც დაზღვეული მოვლენის მოხდენის ალბათობაზე, ისე მისი შესაძლო ზემოქმედების მასშტაბზე.

მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებას მიაკუთვნებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კატეგორიას, იგი სადაზღვევო ხელშეკრულებად რჩება დარჩენილი ვადის განმავლობაში, მაშინაც კი, თუ ამ ხნის მანძილზე სადაზღვევო რისკი საგრძნობლად შემცირდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ყველა უფლება-მოვალეობა ამოიწურება.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

დაზღვევიდან მისაღები მოთხოვნების აღიარება წარმოებს სადაზღვევო პოლისის პირობების საფუძველზე და ფასდება თვითღირებულებით. სადაზღვევო დებიტორული დავალიანების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ რაიმე მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების გასტუმრება შეიძლება ვერ მოხერხდეს და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს ზარალის რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და პრემიის დეფიციტის რეზერვს. ხელშეკრულები გათვალისწინებულ ვალდებულებებს შეადგენს ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ დაურეგულირებელი ყველა მოთხოვნის ერთიანი ხარჯი იმისდა მიუხედავად, განცხადებულია თუ არა, ასევე მასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარეგულირების ხარჯები და მოსალოდნელი ნარჩენი და სხვა სალიკვიდაციო ღირებულების შემცირება, ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია რისკს განიხილავს ცალკეული ბიზნეს მიმართულებების ისტორიული საქმიანობის საფუძველზე, რათა განსაზღვროს საერთო ცვლილება მოსალოდნელ მოთხოვნებში. სხვაობა გამოუმუშავებული პრემიის რეზერვს, ზარალის რეზერვსა და მოსალოდნელ სადაზღვევო მოთხოვნებს შორის აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში პრემიის დეფიციტის რეზერვის შექმნის გზით.

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები

გადავადებული აკვიზიციური ხარჯები კაპიტალიზდება და ამორტიზირდება წრფივი მეთოდით კონტრაქტის მოქმედების პერიოდის განმავლობაში. პრემიების მოზიდვის ყველა სხვა ხარჯის აღიარება ხდება ხარჯად მათი გაწევისთანავე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მიმდინარე ანგარიშებისა და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისგან, რომელთაც აქვთ განთავსებიდან სამი თვის ვადა და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისგან.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადაზე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების პირველადი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ ინვესტიციების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე.

ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. პირველადი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგების და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშში სესხების და მისაღების ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

სესხები და სხვა მისაღები ანგარიშები აღიარებულია მათი პირველადი, ფაქტურული ღირებულებით თუ ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მისაღები ანგარიშების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვი იურიდიული უფლება და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რომლის შესახებაც საგანგებოდ მიეთითება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

სამართლიანი ღირებულებით შეფასება

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს, როგორცაა გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები და არაფინანსური აქტივები (მაგალითად, საინვესტიციო ქონება) აფასებს სამართლიანი ღირებულებით ყოველი საბალანსო ანგარიშის შედგენის თარიღით. ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენილია შენიშვნა 30-ში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულებით შეფასება იმ დაშვება ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- ▶ აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან
- ▶ მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

გასაყიდი ფასიანი ქაღალდები

გასაყიდი ფასიანი ქაღალდები შეიძლება მფლობელობაში იყოს განუსაზღვრელი ვადის და გაიყიდოს ლიკვიდურობის საჭიროების შემთხვევაში და ბაზრის მდგომარეობის ცვლილებების საპასუხოდ.

გასაყიდი ფასიანი ქაღალდები თვითღირებულების შემდეგ ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ფასის სხვაობა აღირიცხება არარეალიზებულ მოგება-ზარალში. თუ ინვესტორი ფლობს რამდენიმე მსგავს ფასიან ქაღალდს, მაშინ მათი გასვლის ხდება FIFO მეთოდით. ფასიანი ქაღალდებისგან მიღებული საპროცენტო შემოსავალი ითვლება ეფექტური პროცენტით. გამომუშავებული დივიდენდები აღირიცხება მოგებად ან ზარალად როგორც „საინვესტიციო შემოსავალი“ მაშინ, როდესაც გადახდის ბრძანება გაიცემა. როდესაც აქტივი უფასურდება, დაგროვებული მოგება ან ზარალი გაყიდვადი ფასიანი ქაღალდების რეზერვიდან გადადის მოგება-ზარალის ანგარიშში.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების პირდაპირი ხარჯები. პირველადი აღიარების შემდეგ მათი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მოთოდის გამოყენებით. ნასესხები სახსრების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით (ანუ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომლის გაანგარიშებაც მოხდა პირველადი აღიარებისას). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული აქტივები

დაგირავებული ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს დაგირავებული ქონების გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის საგნის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის საგნის გამოსყიდვის უფლების ჩამორთმევა.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების

შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს კომპანიის გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში.

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ნებისმიერი შემდგომი აღდგენის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აჭარბებდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას აღდგენის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივის

კომპანიის ნაწილის) ჩამოწერა ხდება, თუ:

- ▶ ამოიწერა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- ▶ კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება და
- ▶ კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა სხვა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი, ან კონტროლი აქტივებზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება უწყვეტი გამოყენების პირობით. შემდგომი გამოყენება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის მეორე ფინანსური ვალდებულება იმავე კრედიტორი მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებები

ნებაყოფლობითი ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

2020 წელს კომპანიამ შეცვალა თავისი სააღრიცხვო პოლიტიკა საოფისე შენობებთან მიმართებით კომპანიის მიზნებისთვის რადგან კომპანია გადავიდა თვითღირებულების მოდელზე. კომპანია ამჟამად იყენებს

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

თვითღირებულების მოდელს, რომლითაც აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. პოლიტიკაში ამ ცვლილების შესვლამდე, კომპანია იყენებდა გადაფასების მოდელს, რომლის მიხედვითაც საოფისე შენობები აღირიცხებოდა სამართლიანი ღირებულებით გადაფასების თარიღისთვის და აკლდებოდა შემდგომში დაგროვილი ცვეთა და შემდგომში დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

კომპანიის აზრით, თვითღირებულების მოდელი ინფორმაციას უფრო საიმედოდ და ამომწურავად აწვდის ინვესტორებს, რადგან (1) ის ზრდის შედარებადობას ინვესტორებისთვის, ვინაიდან თვითღირებულების მოდელის გამოყენება მთელ დარგში გავრცელებული პრაქტიკაა, და (2) ამ მოდელით აღრიცხვა უფრო შესაბამისობაშია ბიზნესმოდელთან, განსაკუთრებით აქტივების ამ კატეგორიისთვის. თვითღირებულების მოდელი გამოყენებისას გადაანგარიშდა წინა პერიოდების ანგარიშგების თითოეული მუხლი, რომელზეც სტანდარტი გავლენას ახდენს:

აქტივები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
ძირითადი საშუალებები	(83)	(83)	(83)
სულ აქტივები	(83)	(83)	(83)
საკუთარი კაპიტალი			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	(83)	(83)	(83)
სულ კაპიტალი	(83)	(83)	(83)

ცვლილებას სააღრიცხვო პოლიტიკაში საოფისე შენობებთან არსებითი გავლენა არ მოუხდენია კომპანიის 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლების მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
საოფისე შენობები	100
ავეჯი და აღჭურვილობა	10
კომპიუტერული ტექნიკა	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ზარალი ან მოგება (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, საწარმომ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განიმარტება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად საწარმომ უნდა შეაფასოს:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ა) კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.

ბ) ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალი უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისთვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გაუფასურებით გამოწვეული ზარალი.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობა შეფასებულია განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით. ვადიანი არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო ეკონომიკური მომსახურების ვადის- 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

სასარგებლო გამოყენების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ცვეთა არ ერიცხება. ისინი ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურების გამოსავლენად ინდივიდუალურად, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე. განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველწლიურად გადაისინჯება აქტივის მიმდინარე სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის სტატუსის დაზუსტების მიზნით.

კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარებულია, როგორც არამატერიალური აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჯგუფს აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება თუ გაყიდვა, აგრეთვე აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით. უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს

განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

გუდვილი

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა ამოცნობადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და ნებისმიერ აღრე ფლობილ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ღირებულებაზე, კომპანია ხელახლა აფასებს, სწორად ამოიცნო თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის ასაღიარებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების სამართლიანი ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ ღირებულებას, მაშინ ხდება ნამეტი შემოსავლის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

პირველადი აღიარების შემდგომ, გუდვილის შეფასება ხდება თავდაპირველი ღირებულებით, რასაც აკლდება ნებისმიერი დარიცხული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების დადგენის მიზნებისათვის, საწარმოთა გაერთიანებისას წარმომქმნილი გუდვილი შესყიდვის თარიღიდან გადანაწილდება კომპანიის ფულადი ნაკადების წარმომქმნელ ბიზნეს ერთეულებზე, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, ისარგებლებენ გაერთიანებით, განურჩევლად იმისა, აღნიშნულ ბიზნეს ერთეულებს შეძენილი კომპანიის სხვა აქტივები მიეკუთვნება, თუ ვალდებულებები.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონების დანიშნულებაა საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საინვესტიციო ქონების აღრიცხვა ასევე თვითღირებულების მოდელით, რისთვისაც იყენებს ბასს 16-ის მოთხოვნებს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებული ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელ იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების უტილიზირება, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს.

გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან არაკონტრაქტული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მეტ-ნაკლები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

თუ კომპანია მოელის დარეზერვებული თანხის დაფარვას, მაგალითად, სადაზღვევო ხელშეკრულების მიხედვით, დაფარვა აღიარდება ცალკე აქივად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ანაზღაურება რეალურად არის მოსალოდნელი.

აქციებზე დაფუძნებული ანაზღაურება

კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა აქციებით იღებს ანაზღაურებას, რა შემთხვევაშიც თანამშრომლები მომსახურებას უწევს კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. აქციებზე დაფუძნებული ყველა ანაზღაურება არის ფულადი.

ფულადი სახსრებით გადახდის ოპერაციები

ფულადი სახსრებით გადახდის ოპერაციებზე დანახარჯები თავდაპირველად აისახება გაცემის თარიღის მდგომარეობით იმ პირობების გათვალისწინებით, რომლითაც ეს ინსტრუმენტები გაიცა. სამართლიანი ღირებულება აღიარებულია როგორც „სახელფასო ხარჯი“ იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა შესაბამისი ვალდებულებების შესრულება. ვალდებულებების გადაფასება ხდება მის სამართლიან ღირებულებამდე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ყოველ საბალანსო წელს ანგარიშსწორების თარიღის ჩათვლით, ხოლო ცვლილებები სამართლიან ღირებულებაში აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კერძოდ „სახელფასო ხარჯში“.

კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

ღივიდნდები

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება ან თუ ისინი შეთავაზებული ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდეგ.

ერთობლივი საქმიანობა: ერთობლივი ოპერაცია

ერთობლივი საქმიანობა ისეთი საქმიანობაა, რომელსაც ერთობლივად აკონტროლებს ორი ან მეტი მხარე. ერთობლივი ოპერაცია ისეთი ერთობლივი საქმიანობაა, რომლის დროსაც მხარეებს, რომლებიც ერთობლივ კონტროლს ახორციელებენ საქმიანობაზე, გააჩნიათ ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ აქტივებზე უფლებები და პასუხისმგებლობა - ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე (განსხვავებით ერთობლივი საწარმოსგან, სადაც მხარეებს აქვთ უფლებები საქმიანობის წმინდა აქტივებზე). როდესაც კომპანია არის ერთობლივი ოპერატორი ერთობლივ ოპერაციაში, ის ამ ოპერაციაში მისი ინტერესის გათვალისწინებით აღიარებს: (ა) თავის აქტივებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივ აქტივებში; (ბ) თავის ვალდებულებებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად აღებულ ვალდებულებებში; (გ) თავის ამონაგებს, რომელიც მიიღო ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის თავისი წილის გაყიდვიდან; (დ) თავის წილს ერთობლივი ოპერაციის შედეგად წარმოებული პროდუქციის გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებში; და (ე) თავის ხარჯებს, მათ შორის თავის წილს ერთობლივად გაწეულ ხარჯებში.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

მოზიდული სადაზღვევო პრემიის აღიარება ხდება პოლისის წარმოქმნისას და გამომუშავება ხდება პროპორციულად, შესაბამისი პოლისით დადგენილი ვადის განმავლობაში.

გამომუშავებული პრემიის რეზერვი

შემდგომ პერიოდებს მიკუთვნებული მოზიდული პრემიის წილი გადავადდება, როგორც გამომუშავებული პრემია. გამომუშავებული პრემიის რეზერვში ცვლილება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შედის მაშინ, რისკის პერიოდის ამოწურვის მიხედვით, ან ანუიტეტების შემთხვევაში, მოსალოდნელი სადაზღვევო გადახდების ოდენობის მიხედვით.

წმინდა სადაზღვევო ზარალი

სადაზღვევო ზარალი მოიცავს წლის განმავლობაში მომხდარ და გაცხადებულ ან განუცხადებელ ზარალს, მათ შორის ამ ზარალის დარეგულირების ხარჯებს და ნარჩენი ან სხვა სალიკვიდაციო ღირებულებების შემცირებას, ასევე გასული წლების მოთხოვნებში შესულ კორექციებს. ზარალის დარეგულირების ხარჯებში შედის ყველა შიდა და გარე დანახარჯი, რომელიც გაწეულია სადაზღვევო მოთხოვნებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებზე და ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. შიდა დანახარჯები მოიცავს სადაზღვევო მოთხოვნების მიმღები განყოფილების ყველა პირდაპირ ხარჯს და ზოგადი ადმინისტრაციული ხარჯების ამ განყოფილებისთვის მიკუთვნებულ ნაწილს.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი- საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსია:

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

სამუშაო კურსი წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

	2020	2019
1 USD/GEL	3.1097	2.8192
1 EUR/GEL	3.5519	3.1553

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის და რელევანტურია კომპანიისთვის.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის. ეს ეხება IFRS 9 ფინანსურ ინსტრუმენტებსაც, ვინაიდან სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, 2023 წლამდე გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება (ნაცვლად IFRS 9-ისა). 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 სადაზღვევო კონტრაქტები, რომელიც 2023 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს.

შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს წლის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას.

განუსაზღვრელობის შეფასება

ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფისკალურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს, განხილულია ქვემოთ:

სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ზარალის ანაზღაურების ვალდებულება

დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, უნდა გაკეთდეს შეფასებები როგორც ანგარიშგების თარიღისთვის გაცხადებული ზარალის მოსალოდნელი ოდენობის, ისე ანგარიშგების თარიღისთვის მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის მოსალოდნელი საერთო მოცულობის შესახებ. ზარალის საერთო მოცულობის ზუსტად დადგენას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს. ზოგად დაზღვევასთან დაკავშირებული ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად. მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 2,239 ლარი (2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 3,783 ლარი).

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი

გაუფასურების ნიშნების გამოსავლენად კომპანია რეგულარულად გადახედავს თავის მისაღებ სადაზღვევო პრემიებს. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის, კომპანია იყენებს განცდილი ზარალის მოდელს გაუფასურებული მისაღები სადაზღვევო პრემიების ზარალის აღიარებისთვის. რაც იმას ნიშნავს, რომ ზარალის აღიარება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კონკრეტული ზარალის დადგომის შემთხვევის ობიექტური მტკიცებულება. გაუფასურებული თანხების გამოვლენისა და მათი შემდგომი დარეზერვების მოდელი და მიდგომა ძირითადად ეყრდნობა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კლიენტის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშების გაუფასურება ინდივიდუალურად ფასდება. გამომწვევ მიზეზებს შორისაა კლიენტის ფინანსური სირთულეები და/ან ხელშეკრულების პირობების, მაგალითად გადახდის პირობის დარღვევა.

კოლექტიური მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განხილვით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დაავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. მისაღები პრემიების გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 5,180 ლარი (2019 წლის 31 დეკემბერი: 3,131 ლარი). იხილეთ მე-6 შენიშვნა.

გუდვილის ამოღებადობა

კომპანია მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს გუდვილის გაუფასურებას. ამისთვის საჭიროა იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გამოყენების ღირებულების დადგენა, რომელზეც გუდვილია განაწილებული. გამოყენების ღირებულების განსაზღვრა მოითხოვს ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების გაანგარიშებას და ასევე შესაფერისი დისკონტირების განაკვეთის შერჩევას ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულების გამოთვლის მიზნით. გუდვილის ოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 3,462 ლარს შეადგენდა (2019 წლის 31 დეკემბერი: 3,462 ლარი).

4. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ნაღდი ფული სალაროში	-	72
მიმდინარე ანგარიში ბანკში	9,326	2,922
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,326	2,994

ISSSG-ის მოთხოვნაა, რომ სადაზღვევო ვალდებულებების რეზერვის 10% უზრუნველყოფილ იქნეს ფულადი სახსრებით და მათი ეკვივალენტებით, რაც განსაზღვრულია საქართველოს სადაზღვევო სახელმწიფო სამსახურის მიერ, რაც მოცემული მდგომარეობით 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის 1,558 ლარი (2019 წლის 31 დეკემბერი: 1,003 ლარი).

5. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
დეპოზიტები ლარში	8,076	9,783
დეპოზიტები დოლარში	7,699	3,805
სულ მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15,775	13,588

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ არის მოკლევადიანი (3-დან 12 თვემდე) და ერიცხება წლიური 3,85 %-13.95% 2020 განმავლობაში (2019 წლის 31 დეკემბერი: 4.00%-12.80%) .

6. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ვადის ბოლომდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები	7,216	6,300
დარიცხული პროცენტი	147	134
სულ საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	7,363	6,434

7. სადაზღვევო დებიტორული დავალიანება

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
პოლისის მფლობელების დებიტორული დავალიანება	29,040	32,760
გაუფასურების რეზერვი	(5,180)	(3,131)
სულ სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	23,860	29,629

ზემოთ მოყვანილი საბალანსო ღირებულებები გონივრულადაა მიახლოებული მათ სამართლიან ღირებულებებთან პერიოდის ბოლოსთვის.

სადაზღვევო დებიტორული დავალიანების რეზერვში შემდეგი სახის მოძრაობები აღინიშნება:

სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	
1 იანვარი, 2019	2,651
წლის ხარჯი	481
31 დეკემბერი, 2019	3,132
წლი ხარჯი	2,049
31 დეკემბერი, 2020	5,180

აქტივების გაუფასურების რეზერვი გამოითვლება მასთან დაკავშირებული აქტივების ღირებულებებიდან.

8. გადასახადები

გადასახადები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კორპორაციული მოგების გადასახადის ხარჯი შედგება შემდეგისგან:

	2020	2019
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	1,386	1,084
გადავადებული გადასახადის დანარიცხი-დროებითი სხვაობის წარმოშობა / აღდგენა	(20)	(228)
მოგების გადასახადის ხარჯი	1,366	856

ეფექტური მოგების გადასახადსა და კანონით დაწესებული მოგების გადასახადს შორის რეკონსილაცია გამოიყურება შემდეგნაირად:

	2020	2019
მოგება დაბეგრამდე	8,841	5,660
ნომინალური მოგების გადასახადის განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	1,326	849
არაგამოქვითვადი ხარჯები	40	7
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	–	–
გადასახადის განაკვეთის ცვლილების გავლენა	–	–
მოგების გადასახადი	1,366	856

8. გადასახადები(გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2020 წლის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი დინამიკა შესაბამისი წლების მიხედვით:

	მოგება- ზარალის ანგარიში	31 დეკემბერი 2019	მოგება- ზარალის ანგარიშ ი	31 დეკემბერი 2020
გადასახადის გავლენა გამოსაქვით დროებით სხვაობებზე:				
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	124	470	268	738
მომდევნო პერიოდზე გადატანილი საგადასახადო ზარალი	–	–	–	–
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	(42)	–	–	–
ნასესხები სახსრები	–	–	–	–
გაცემული სესხები	–	–	–	–
სხვა აქტივები	147	147	(147)	–
გადავადებული საგადასახადო აქტივები	229	617	121	738
გადასახადის გავლენა დასაბეგრ დროებით სხვაობებზე:				
ძირითადი საშუალებები				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	6	(42)	109	67
არამატერიალური აქტივები	429	429	(150)	279
სხვა ვალდებულებები	(434)	2	142	144
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	1	389	101	490
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივები	228	228	20	248

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითვას დაექვემდებარება, თუ კანონით გათვალისწინებულია მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებებთან გაქვითვის უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები უკავშირდება იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრ კომპანიაზე ან კომპანიებზე დაკისრებულ მოგების გადასახადებს და როდესაც არსებობს ნაშთების ურთიერთგაქვითვის განზრახვა.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა რეფორმა გაატარა კორპორაციული მოგების გადასახდთან დაკავშირებით (რაც ცნობილია, როგორც კორპორაციული გადასახადების ესტონური მოდელი), რომელიც ცვლის გამომუშავებული მოგების გადასახადის გადახდის დროს. შედეგად, 2023 წლის 1 იანვრიდან კომპანიის დაბეგრული მოგება იქნება გადახდილი დივიდენდები (მსგავსის არსებობის შემთხვევაში) და გადავადებული გადასახადი აღარ იარსებებს.

9. გადავადებული აკვიზაციური ხარჯები

გადავადებული აკვიზაციური ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1 იანვარი 2019	1,072
გადავადებული ხარჯები	2,399
ამორტიზაცია	(2,545)
31 დეკემბერი 2019	926
გადავადებული ხარჯები	2,578
ამორტიზაცია	(1,985)
31 დეკემბერი 2020	1,519

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	ავჯი და მოწყობილობა	კომპიუტერები	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	აქტივი გამოყენების უფლებით	სულ
ისტორიული ღირებულება							
1 იანვარი, 2019	4,081	1,451	2,490	179	862	-	9,063
შემოსვლები	-	68	168	25	59	892	1,212
გაყიდვები	-	-	-	(16)	(3)	-	(19)
31 დეკემბერი, 2019	4,081	1,519	2,658	188	918	892	10,256
შემოსვლები	10	15	208	5	6	564	808
გაყიდვები	(1,914)	(11)	(3)	-	(50)	-	(1,978)
31 დეკემბერი, 2020	2,177	1,523	2,863	193	874	1,456	9,086
დაგროვილი ცვეთა							
1 იანვარი, 2019	331	942	1,818	48	145	-	3,284
ცვეთის დანარიცხი	41	101	232	33	63	346	816
გაყიდვები	-	-	-	(9)	(1)	-	(10)
31 დეკემბერი, 2019	372	1,043	2,050	72	207	346	4,090
ცვეთის დანარიცხი	38	98	234	33	51	404	858
გაყიდვები	(242)	(13)	(1)	-	(15)	-	(271)
31 დეკემბერი, 2020	168	1,128	2,283	105	243	750	4,677
წმინდა ნარჩენი ღირებულება							
31 დეკემბერი, 2019	3,709	476	608	116	711	546	6,166
31 დეკემბერი, 2020	2,009	395	580	88	631	706	4,409

სს „გეფას“ (ს/ნ 201991229) მიერ სს „პროგრესიტი ბანკიდან“ აღებული სესხ(ებ)ის /კრედიტების საბანკო პროდუქტ(ებ)ის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიქვითა სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ-ის“ უძრავი ქონება საკადასტრო კოდით (01.14.14.011.060.01.05.648). აღნშნული უძრავი ქონების ღირებულება არ შეადგენს კომპანიის მთლიანი აქტივების ღირებულების 25%-ზე მეტს.

11. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

საინვესტიციო ქონება	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მიწა	9,352	9,352
სულ საინვესტიციო ქონება	9,352	9,352

კომპანია საინვესტიციო ქონებას აღრიცხვას თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეფასებულია 14,578 ათას ლარად (2019: 12,453 ათასი ლარი).

12. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები

გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	გუდვილი	ლიცენზიები	კომპიუტერული უზრუნველყოფა	სულ
ისტორიული ღირებულება				
1 იანვარი, 2019	3,462	2,023	2,177	7,662
შემოსვლები	-	97	131	228
31 დეკემბერი, 2019	3,462	2,120	2,308	7,890
შემოსვლები	-	92	239	331
31 დეკემბერი, 2020	3,462	2,212	2,547	8,221
დაგროვილი ამორტიზაცია				
1 იანვარი, 2019	-	884	1,202	2,086
ამორტიზაციის დანარიცხი	-	179	106	285
31 დეკემბერი, 2019	-	1,063	1,308	2,371
ამორტიზაციის დანარიცხი	-	231	101	332
31 დეკემბერი, 2020	-	1,294	1,409	2,703
წმინდა ნარჩენი ღირებულება				
31 დეკემბერი, 2019	3,462	1,057	1,000	5,519
31 დეკემბერი, 2020	3,462	918	1,138	5,518

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, გუდვილი ათვისებულ იქნა ერთ ფულადი სახსრების წარმომქნელ ერთეულად - სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“-ის სამედიცინო სადაზღვევო ბიზნესი, რომელიც წარმოიქმნა შერწყმის შედეგად.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი მთლიანი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება:

გამოყენების ღირებულების გამოთვლის საფუძველზე, რაც დაფუძნებულია კომპანიის სამ წლიან ბიუჯეტზე იმ დაშვებით, რომ ბიზნესი განაგრძობს ზრდას და ფულადი ნაკადები იქნება მდგრადი. დისკონტირებისთვის გამოიყენება კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC).

ფინანსური ბიუჯეტის ფარგლებში დისკონტირების განაკვეთი არ შეცვლილა. ფულადი სახსრების წარმომქნელი ერთეულების ფულადი ნაკადების გამოსათვლელად, გაუფასურების ტესტისათვის გამოყენებულ იქნა 0%-იანი მუდმივი ზრდა.

12. გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

	ზრდის ეფექტური წლიური განაკვეთი სამი წლის ფინანსურ ბიუჯეტებში	გაუფასურების დასადგენად გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება	გუდვილის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2020
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	4.30%	12.35%	3,260
სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი L International:	4.30%	12.35%	99
სს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორი“	4.30%	12.35%	103
31 დეკემბერი, 2020			3,462

	ზრდის ეფექტური წლიური განაკვეთი სამი წლის ფინანსურ ბიუჯეტებში	გაუფასურების დასადგენად გამოყენებული კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება	გუდვილის საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი, 2019
სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“	19.90%	16.56%	3,260
სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი L International:	19.90%	16.56%	99
სს „სადაზღვევო კომპანია პარტნიორი“	19.90%	16.56%	103
31 დეკემბერი, 2019			3,462

13. სხვა აქტივები

სხვა აქტივები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
გადახდილი ავანსები	630	464
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	259	276
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	297	257
სხვა	44	81
სულ სხვა აქტივები	1,230	1,078

გადახდილი ავანსები მოიცავს სამედიცინო პროვაიდერებისთვის გადახდილ ავანსებს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 207 ათას ლარს (2019 წლის 31 დეკემბერი: 210 ათასი ლარი)

14. კაპიტალი

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ნებადართული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა შეადგენდა 7,503,187 ცალ აქციას ნომინალური ღირებულებით 1 ლარი (არ არის მოცემული ათასებში) რაც სრულად იქნა გამოშვებული და გადახდილი. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საწედბო კაპიტალი შეადგენდა 7,503 ლარს ხოლო დამატებითი შენატანი კაპიტალში 16,426 ლარს შეადგენს.

კომპანიის საწესდებო კაპიტალში აქციონერთა მიერ შენატანი ხორციელდებოდა ლარში, შესაბამისად, კაპიტალი უნდა განაწილდეს დივიდენდის ან სხვა სახით მხოლოდ ლარში. 2020 წლის პერიოდში დივიდენდები გამოცხადდა 2,450 ლარის აქედან გადახდა მოხდა მხოლოდ 700 ლარის, (2019 წლის პერიოდში დივიდენდები გამოცხადდა 1,500 ლარის აქედან გადახდა მოხდა მხოლოდ 625 ლარის).

საქართველოს სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნები შესაბამისობაშია „სადაზღვევო კომპანია იმედი L“-თან. საქართველოს სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნით, სავალდებულოა მინიმუმ 4,685 ლარის კაპიტალის არსებობა, რომლის 100% განთავსებული უნდა იყოს მიმდინარე საბანკო ანგარიშებსა და დეპოზიტებზე 4,685 (2019: 4,685 ლარი ნაღდი ფულის სახით ბანკის მიმდინარე

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ანგარიშებსა ან დეპოზიტებზე). ყოველთვის საქართველოს სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურს ეგზავნება დასტურის წერილი ნაშთების დასადასტურებლად. კომპანია მუდმივად და რეგულარულად არის საქართველოს სადაზღვევო ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების შესაბამისობაში.

15. სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, გადაზღვევის აქტივი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და გადაზღვევის აქტივი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
გამომუშავებული პრემიის რეზერვი (UPR)	22,170	23,301
პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული ზარალის რეზერვი (RBNS)	5,570	4,454
მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი (IBNR)	2,240	3,913
სულ სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	29,980	31,668
გადაზღვევლის წილი UPR-ში	43	79
გადაზღვევლის წილი RBNS-ში	174	218
გადაზღვევის აქტივები	217	297
ნეტო UPR	22,128	23,222
ნეტო RBNS	5,396	4,236
ნეტო IBNR	2,240	3,913
სულ სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები, ნეტო	29,763	31,371

წლის განმავლობაში დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების მოძრაობა იყო ასეთი:

	31 დეკემბერი, 2020	
	სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები	გადაზღვევის აქტივი
წლის დასაწყისში	31,668	297
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	68,555	155
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(69,685)	(191)
მიმდინარე წელს მომხდარი ზარალი	(50,046)	(88)
წლის განმავლობაში მომხდარი ზარალი	50,949	44
ზარალის ანაზღაურების ხარჯები	(1,461)	–
წლის ბოლოს	29,980	217
	31 დეკემბერი, 2019	
	სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები	გადაზღვევის აქტივი
წლის დასაწყისში	27,426	1,313
წლის განმავლობაში მოზიდული პრემიები	80,719	2,487
წლის განმავლობაში გამომუშავებული პრემიები	(77,908)	(2,703)
მიმდინარე წელს მომხდარი ზარალი	61,844	538
წლის განმავლობაში მომხდარი ზარალი	(59,093)	(1,338)
ზარალის ანაზღაურების ხარჯები	(1,320)	–
წლის ბოლოს	31,668	297

სადაზღვევო ვალდებულებები- პირობები, დაშვებები და მგრძნობელობა

(1) პირობები

პოლისების მიხედვით რისკები ჩვეულებრივ თორმეტ თვიან პერიოდს ფარავს. დაზღვევის ხელშეკრულებების შემთხვევაში, ზარალის რეზერვი (რომელშიც შედის პოლისების მფლობელთა მიერ გაცხადებული და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალები) იქმნება ვალდებულებების შესრულების საერთო ხარჯის დასაფარად იმ

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ზარალთან მიმართებაში, რომელიც მომხდარი და შეფასებულია ანგარიშგების დღისთვის ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით.

15. სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები გადაზღვევის აქტივი (გაგრძელება)

რეზერვის გადასინჯვა ხდება ყოველთვიურად ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, რადგანაც დროთა განმავლობაში ზარალის ნაწილი რეგულირდება და ახალი ზარალის შესახებ ხდება ცნობილი, აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვის დისკონტირება არ ხდება ფულის დროითი ღირებულების გასათვალისწინებლად.

(2) დაშვებები

მოულოდნელი რისკის გამოსათვლელად კომპანია იყენებს ცალკეული ბიზნესის წარსულ მონაცემებს მოსალოდნელ ზარალებთან დაკავშირებით.

(3) მოსალოდნელი ზარალის შეფასების მეთოდი (სამკუთხედის მეთოდი)

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილი გარკვეული დროის განმავლობაში ზარალების მოცულობის ცვლილება. ცხრილები ასახავს როგორც გაცხადებული ზარალების, ისე მომხდარი, მაგრამ ჯერ განუცხადებელი ზარალების რეზერვებს და კუმულაციურ გადახდებს.

ცხრილებში პროგნოზირებული ზარალები გადაყვანილია ლარში ზარალის დადგომის წლის ბოლოსთვის მოქმედი სავალუტო კურსით.

ზარალის დადგომის წელიწადი	2017	2018	2019	2020	სულ
ზარალის დადგომის წლის ბოლოს	45,209	42,584	61,306	50,905	
ერთი წლის შემდეგ	45,209	42,424	61,194		
ორი წლის შემდეგ	45,209	42,424			
სამი წლის შემდეგ	45,209				
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	45,209	42,424	61,194	50,905	199,732
ზარალის დადგომის წლის ბოლოს	(38,816)	(36,052)	(53,406)	(43,586)	
ერთი წლის შემდეგ	(45,087)	(42,235)	(60,934)		
ორი წლის შემდეგ	(45,091)	(42,306)			
სამი წლის შემდეგ	(45,049)				
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(45,049)	(42,306)	(60,934)	(43,586)	(191,875)
აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშისთვის	160	118	124	7,451	7,853
ნამეტის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება					
ნამეტის/(დეფიციტის) % თავდაპირველ მთლიან რეზერვში	-	160	112		
ზარალის დადგომის წელიწადი	0.0%	0.4%	0.2%		
ზარალის დადგომის წლის ბოლოს	53,317	45,209	42,584	61,306	
ერთი წლის შემდეგ	53,082	45,209	42,424		
ორი წლის შემდეგ	53,082	45,209			
სამი წლის შემდეგ	53,082				
მომხდარი კუმულაციური ზარალის მიმდინარე შეფასება	53,082	45,209	42,424	61,306	202,021
ზარალის დადგომის წლის ბოლოს	(45,377)	(38,816)	(36,052)	(53,406)	
ერთი წლის შემდეგ	(52,764)	(45,087)	(42,235)		
ორი წლის შემდეგ	(52,882)	(45,091)			
სამი წლის შემდეგ	(52,922)				
კუმულაციური გადახდები დღევანდელ თარიღამდე	(52,922)	(45,091)	(42,235)	(53,406)	
აუნაზღაურებელი ზარალის რეზერვი ფინანსური მდგომარეობის თითოეული ანგარიშისთვის	160	118	189	7,900	8,367

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“**ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები**

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ნამეტის/(დეფიციტის) მიმდინარე შეფასება	235	-	160
ნამეტის/(დეფიციტის) % თავდაპირველ მთლიან რეზერვში	0.4%	0.0%	0.4%

16. გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება

2020 წლის 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება მოიცავს პროვაიდერული კლინიკების მიმართ ვალდებულებას.

17. გაცემული სესხები და ნასესხები სახსრები

გაცემული სესხები და ნასესხები სახსრები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

კომპანიის გაცემული სესხები შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები ლარში, ძირი	1,269	1,020
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხებზე დარიცხული პროცენტი	1	195
სულ გაცემული სესხები	1,270	1,215

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გაცემული აქვს 1 სესხი დაკავშირებულ კომპანიაზე წლიურ 11.48%-ში, სესხის დასრულების თარიღია 2021 წლის 29 დეკემბერი.

კომპანიის ნასესხები სახსრები შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ადგილობრივი კრედიტორებისგან ნასესხები სახსრები	5,299	7,450
სულ ნასესხები სახსრები	5,299	7,450

2020 წლის მდგომარეობით საპროცენტო ხარჯი შეადგენდა 910 ლარს (2019 წელს 699 ლარი).

18. სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	1,532	1,228
გადასახდელი საკომისიო	1,187	925
კრედიტორები	449	234
გადასახდელი დივიდენდები	700	875
ფინანსური ლიზინგი	846	608
სხვა	603	1,017
სულ სხვა ვალდებულებები	5,317	4,887

19. პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

იურიდიული საკითხები

საქმიანობის ჩვეულებრივი მსვლელობისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა აღიძრას სარჩელები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამ სარჩელებიდან გამომდინარე საბოლოო ვალდებულებას არ ექნება არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო ფუნქციონირებაზე.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. ხელმძღვანელობის მიერ ამგვარი ნორმების განმარტებები, რომლებიც გამოიყენება კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით, შესაძლებელია ექვემდებარება

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

დააყენონ შესაბამისმა რეგიონულმა და სახელმწიფო სამსახურებმა.

საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ექვემდებარებოდა არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს.

ამის გამო შეიძლება კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. სახელმწიფო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ ფისკალური პერიოდები, კერძოდ- შემოწმების წლიდან წინა სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში შემოწმება შეიძლება უფრო დიდი პერიოდის მოიცვას. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

20. წმინდა სადაზღვევო შემოსავალი

წმინდა სადაზღვევო შემოსავალი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
მოზიდული სადაზღვევო პრემია	68,555	80,719
გამომუშავებული პრემიის რეზერვის ცვლილება	1,130	(2,811)
მოზიდული სადაზღვევო პრემია, გადამზღვევლის წილი	(155)	(2,487)
გამომუშავებულ პრემიის რეზერვის ცვლილება, გადამზღვევლის წილი	(36)	(66)
სულ წმინდა სადაზღვევო შემოსავალი	69,494	75,355

კომპანიის 2019 წლის მიღებული საკომისიო შემოსავალი არის მიღებული გადაზღვევიდან. 2020 წლიდან გაუქმდა გადაზღვევა.

21. საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

საპროცენტო შემოსავალი	2020	2019
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,309	1,232
გაცემული სესხები	111	111
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	285	84
სულ საპროცენტო შემოსავალი	2,705	1,427

საპროცენტო ხარჯი	2020	2019
ადგილობრივი კრედიტორებისგან ნასესხები სახსრები	909	699
სულ საპროცენტო ხარჯი	909	699

22. სხვა საოპერაციო შემოსავალი

კომპანიის 2020 წლის და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის სხვა საოპერაციო შემოსავალი შედგება საკომისიო შემოსავლისგან.

	2020	2019
მოგება ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან	837	4
სხვა	10	64
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	847	68

23. წმინდა სადაზღვევო ხარჯები

წმინდა სადაზღვევო ხარჯები 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	2020	2019
გადახდილი სადაზღვევო ზარალები, არასიცოცხლე	(50,781)	(58,722)
გადახდილი სადაზღვევო ზარალები, სიცოცხლის დაზღვევა	(638)	(353)
სულ სადაზღვევო ხარჯები	(51,419)	(59,075)
ცვლილება სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებში	514	(2,231)
სულ წმინდა სადაზღვევო ხარჯები	(50,905)	(61,306)

24. აკვიზიციის ხარჯი

აკვიზიციის ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
აკვიზიციის ხარჯები	2,020	2,947
აკვიზიციის ხარჯების გადავადებული ნაწილი	2,578	2,399
გადავადებული აკვიზიციის ხარჯების ამორტიზაცია	(1,985)	(2,545)
სულ აკვიზიციის ხარჯები	2,613	2,801

25. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
ხელფასი	4,639	4,256
დაზღვევა და სხვა სარგებელი	369	326
წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაცია	562	299
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	5,570	4,881

26. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2020	2019
თანამშრომლების გადამზადება	262	177
მარკეტინგი და რეკლამა	250	257
კომუნიკაციის ხარჯები	188	133
იურიდიული და საკონსულტაციო ხარჯები	178	125
წარმომადგენლობითი	153	139
საოფისე აღჭურვილობა	110	115
იჯარა და ქირა	89	69
დაცვა-უსაფრთხოება	85	117
საქველმოქმედო საქმიანობა	75	34
ბანკებისთვის გადასახდელი გასამრჯელო და საკომისიო	60	83
კომუნალური ხარჯები	53	121
პოლიგრაფიული მომსახურების ხარჯი	58	62
საოპერაციო ხარჯები	32	34
სამივლინებო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	—	16
ძირითადი საშუალებების შეკეთებისა და მომსახურების ხარჯები	4	7
სხვა	74	37
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	1,671	1,526

2020 წელს აუდიტორული მომსახურების ხარჯმა შეადგინა 45 ლარი (2019: 45 ლარი)

27. გაუფასურების ხარჯი

გაუფასურების ხარჯი 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის შედეგება მხოლოდ სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯისაგან.

28. მოგება საკურსო სხვაობიდან

	2020	2019
არარეალიზებული კურსთაშორისი მოგება/ზარალი	359	220
რეალიზებული კურსთაშორისი მოგება/ზარალი	470	(10)
	829	210

29. რისკის მართვა

კომპანიის საქმიანობას ახასიათებს რამდენიმე რისკი. ამიტომ რისკის მართვა მისი სადაზღვევო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. რისკი კომპანიის საქმიანობისთვის გარდაუვალია, მაგრამ მათი მართვა ხდება მუდმივი იდენტიფიკაციით, შეფასებითა და ყოველდღიური მონიტორინგით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების გათვალისწინებით. კომპანიის შიგნით თითოეული პირი პასუხისმგებელია თავისი საქმიანობის სფეროში რისკების მართვაზე. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფინანსური რისკები უკავშირდება საკრედიტო სააქმიანობას, ლიკვიდურობას და ბაზარზე საპროცენტო და სავალუტო კურსების თუ აქციების ფასების ცვალებადობას. ქვემოთ მოცემულია ამ რისკებთან მიმართებაში კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკის მოკლე აღწერა.

მართვის სისტემა

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია კომპანიის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს და აკონტროლებს რისკებს რეგულარულად ამოცანების შეფასებით, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შექმნით და რისკის კონტროლის როგორც პოლიტიკის, ასევე სახელმძღვანელოების შექმნით და მათი განხორციელების პროცესის კონტროლითა და შესაბამისი დეპარტამენტების შესრულებით. აღმასრულებელი საბჭო იკრიბება რეგულარულად, რათა დაამტკიცონ თითოეული რეკლამა, რეგულაცია და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნილებები მსგავსი პოლიტიკით. პოლიტიკა განსაზღვრავს კომპანიის რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, სტრუქტურის ლიმიტირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ხარისხის და აქტივების დივერსიფიკაცია, კორპორაციული მიზნების მიღწევის სტრატეგიის ჩამოყალიბებას და დაზუსტოს ანგარიშების მოთხოვნები.

კაპიტალის მართვის მიზნები, პრინციპები და მეთოდი

კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- ▶ კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით პოლისის მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.
- ▶ კაპიტალის ეფექტურად გამოყოფა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს აქციონერთა მოთხოვნებს.
- ▶ ფინანსური მოქნილობის უზრუნველყოფა ლიკვიდურობის მაღალი დონის შენარჩუნებითა და კაპიტალის ბაზრებზე წვდომით.
- ▶ მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და პოლისების მფლობელების, მარეგულირებელი ორგანოებისა და დაინტერესებული მხარეების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

კომპანიის საქმიანობა ასევე ექვემდებარება ადგილობრივ ნორმატიულ მოთხოვნებს იმ იურისდიქციის ფარგლებში, რომელშიც საქმიანობა უხდება. ასეთი ნორმატიული მოთხოვნები არა მხოლოდ განსაზღვრავს დამტკიცებისა და მონიტორინგის საქმიანობას, არამედ აწესებს შემზღუდველ ნორმებს, როგორიცაა კაპიტალის საკმარისობის (ადეკვატურობის) მოთხოვნა, სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობისა და გადახდისუნარიანობის რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა მათ შეძლონ გაუთვალისწინებელი ვალდებულებების დროულად შესრულება.

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

კომპანიის ძირითადი მმართველი პოლიტიკა გულისხმობს მინიმუმ სარეგულაციო კაპიტალის ფლობას და ISSSG მოთხოვნების შესაბამისად ლიკვიდური აქტივების ფლობას. ISSSG-ის მოთხოვნებით, სადაზღვევო კომპანია უნდა ფლობდეს მინიმუმ გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის და მისაღები სადაზღვევო პრემიუმის ნეტო ცვლილების 75%-ს და წაგებული რეზერვების 100%-ს ლიკვიდური აქტივებით. ISSSG -ის მიერ განსაზღვრული ლიკვიდური აქტივებია: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულების მიმართ, გაცემული სესხები, საინვესტიციო ქონება ისევე როგორც სხვა ფინანსური აქტივები. მსგავსი ლიკვიდური აქტივების მინიმალურ რაოდენობას ეწოდება „სავალდებულო რეზერვი“.

2020 წლის სავალდებულო რეზერვი არის 15,584 ლარი (2019 წელი - 10,030). კომპანია აკმაყოფილებს სრულად მოთხოვნებს - ფლობს 17,478 (2019 წელი - 14,366).

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც კომპანია დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ გადააჭარბოს სადაზღვევო ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნის შემდგომი ცვლილება.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო მოთხოვნების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამს.

ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან, კომპანიის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	31' დეკემბერი 2020	31' დეკემბერი 2019
ზარალიანობის კოეფიციენტი	73.3%	81.4%
კომბინირებული კოეფიციენტი	91.1%	95.7%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი დაზღვევის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულების კონვერტაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ჯანდაცვა	6,076	6,822
სოცოცხლე	1,313	973
მოგზაურობა	345	457
უბედური შემთხვევა	118	115
	7,809	8,367

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური რისკი მოიცავს საკრედიტო რისკს, ლიკვიდურობის რისკსა და საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს). ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა.

(1) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მონაწილე ერთი მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია რა წარმოადგენს საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდგომარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც, უზრუნველყოფისა და თავდაცობის მიღების წესები, საკრედიტო რისკებისა და დარღვევების შესახებ მაკონტროლებელი ორგანოს შეტყობინება, საკრედიტო რისკის პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლი და მისი რეგულარული გადამოწმება აქტუალურობის შესანარჩუნებლად და გარემოში მომხდარი ცვლილებების გასათვალისწინებლად.

ქვემოთ მოკლედ არის აღწერილი, როგორ მართვას კომპანია თავის საკრედიტო რისკს.

	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, 31 დეკემბერი, 2020	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, 31 დეკემბერი, 2020		სულ 31 დეკემბერი 2020
		91 დღეზე ნაკლები	90 დღეზე მეტი	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15,775	–	–	15,775
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	22,746	1,089	5,204	29,040
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	259	–	–	259
სულ	38,780	1,089	5,204	45,074

	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული, 31 დეკემბერი, 2019	ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული, 31 დეკემბერი, 2019		სულ 31 დეკემბერი 2019
		91 დღეზე ნაკლები	90 დღეზე მეტი	
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	13,588	–	–	13,588
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	28,161	1,094	3,505	34,376
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	276	–	–	276
სულ	42,025	1,094	3,505	46,620

კომპანიას არ გააჩნია საკრედიტო შეფასების სისტემა გაუფასურებული სესხების შესაფასებლად.

(2) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის მისი რისკი, რომ კომპანიას გაუჭირდება სახსრების მოზიდვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული ფულადი ვალდებულებების შესასრულებლად. ლიკვიდურობის რისკი შეიძლება გამოიწვიოს ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულებით სწრაფად გაყიდვის უუნარობამ, კონტრაგენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობამ, სადაზღვევო ვალდებულების მოსალოდნელზე ადრე გადახდის აუცილებლობამ ან დაგეგმილი ფულადი ნაკადების მიღების უუნარობამ. კომპანია ლიკვიდურობას მართავს კომპანიის ლიკვიდურობის რისკის პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც განმარტავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის ლიკვიდურობის რისკს. ძირითადი ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა ყოველდღიური მოთხოვნებიდან ხელმისაწვდომ ფულად სახსრებზე მომწოდებლებისგან, სადაზღვევო ვალდებულებებისგან და სესხებისგან.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

29. რისკის მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2020	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტი ვადით	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,326	–	9,326
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	15,775	–	15,775
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	23,860	–	23,860
გადაზღვევის აქტივი	217	–	217
გაცემული სესხები	1,270	–	1,270
სხვა აქტივები	259	–	259
სულ აქტივები	50,707	-	50,707
ვალდებულებები			
სადაზღვევო ვალდებულებები	29,980	–	29,980
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	7,120	–	7,120
ნასესხები სახსრები	5,059	240	5,299
სხვა ვალდებულებები	5,317	–	5,317
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	586	–	586
სულ ვალდებულებები	48,062	240	48,302
ნეტო პოზიცია	2,645	(240)	2,405
დაგროვილი სხვაობა	2,645	2,405	

31 დეკემბერი, 2019	ერთი წლის ვადაში	ერთ წელზე მეტი ვადით	სულ
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,994	–	2,994
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	12,068	1,520	13,588
სადაზღვევო დებიტორული დავალიანება	29,629	–	29,629
გადაზღვევის აქტივი	297	–	297
გაცემული სესხები	1,215	–	1,215
სხვა აქტივები	276	–	276
სულ აქტივები	46,479	1,520	47,999
ვალდებულებები			
სადაზღვევო ვალდებულებები	31,668	–	31,668
გადასახდელი სადაზღვევო ანაზღაურება	5,791	–	5,791
ნასესხები სახსრები	5,050	2,400	7,450
სხვა ვალდებულებები	4,887	–	4,887
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულებები	870	–	870
სულ ვალდებულებები	48,266	2,400	50,666
ნეტო პოზიცია	(1,787)	(880)	(2,667)
დაგროვილი სხვაობა	(1,787)	(2,667)	

(3) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და ვალუტის კურსის მერყეობის შედეგად.

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები, საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილების შედეგად, რასაც იწვევს სავალუტო კურსის (სავალუტო რისკი), საბაზრო საპროცენტო განაკვეთების (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და საბაზრო ფასების (საფასო რისკი) მერყეობა, იმის მიუხედავად ფასებში ასეთი ცვლილებები გამოწვეულია ცალკეული ინსტრუმენტებისთვის ან მისი ემიტენტისათვის დამახასიათებელი ფაქტორებით თუ ბაზარზე მიმოქცევაში არსებულ ყველა ინსტრუმენტზე მოქმედი ფაქტორით.

29. რისკის მართვა (გაგრძელება)*საპროცენტო განაკვეთის რისკი*

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე. კომპანიის პროცენტიანი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებები შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2020		31 დეკემბერი, 2019	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	12.32%	3.93%	11.50%	4.88%
ნასესხები სახსრები	10.00%	N/A	11.44%	0.00%

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ უხსოური ვალუტის გაცვლითი კურსების ცვლილება გავლენას მოახდენს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაზე ან ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულადი სახსრების ნაკადზე.

31 დეკემბერი, 2020	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,004	219	103	9,326
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	8,076	7,699	–	15,775
გაცემული სესხები	1,270	–	–	1,270
სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება	23,706	154	–	23,860
სულ აქტივები	42,056	8,072	103	50,231
ვალდებულებები:				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	29,603	176	201	29,980
ნასესხები სახსრები	5,299	–	–	5,299
სხვა ვალდებულებები	5,069	248	–	5,317
სულ ვალდებულებები	39,970	424	201	40,596
ნეტო პოზიცია	9,949	(216)	(98)	9,635
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა დასაბეგრ მოგებაზე		(32)	(15)	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		(15%)	(15%)	
გავლენა დასაბეგრ მოგებაზე		32	15	

31 დეკემბერი, 2019	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
აქტივები:				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,827	39	128	2,994
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	9,783	3,805	–	13,588
გაცემული სესხები	1,215	–	–	1,215
სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება	31,073	145	27	31,245
სულ აქტივები	44,898	3,989	154	49,042
ვალდებულებები:				
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	31,159	258	251	31,668
ნასესხები სახსრები	7,450	–	–	7,450
სხვა ვალდებულებები	4,397	313	–	4,710
სულ ვალდებულებები	43,006	571	251	43,828
ნეტო პოზიცია	1,892	3,418	(96)	5,214
სავალუტო კურსის პროცენტული ზრდა		15%	15%	
გავლენა დასაბეგრ მოგებაზე		513	(14)	
სავალუტო კურსის პროცენტული შემცირება		(15%)	(15%)	
გავლენა დასაბეგრ მოგებაზე		(513)	14	

30. სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. კომპანია შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის.

- ▶ დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკოტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- ▶ დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი და
- ▶ დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებზე.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ 2020
ძირითადი საშუალებები	–	–	2,092	2,092
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	9,326	–	–	9,326
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	–	15,775	15,775
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ნასესხები სახსრები	–	–	5,299	5,299

სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ 2019
ძირითადი საშუალებები	–	–	3,792	3,792
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,994	–	–	2,994
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	–	13,588	13,588
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი				
ნასესხები სახსრები	–	–	7,450	7,450

ქვემოთ აღწერილია შეფასების ხერხებით სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტებისა და ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: კომპანიამ გამოიყენა ის დაშვებები, რომლებსაც, კომპანიის აზრით, დაეყრდნობიან ბაზრის მონაწილეები ინსტრუმენტის შეფასების დროს.

საინვესტიციო ქონება

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრებოდა დაუკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. აქტივების ღირებულებები ფასდება საბაზრო ან თვითღირებულების მიდგომებით. საბაზრო მიდგომა იყენებს ფასსა და მსგავს ინფორმაციებს, რომლებიც გამომდინარეობს იდენტური ან მსგავსი შესადარისი მიწისა და შენობების ტრანზაქციებიდან. თვითღირებულების მეთოდი დაფუძნებულია იმ ღირებულებაზე, რაც საჭიროა აქტივის ჩასანაცვლებლად.

30. სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ღირებულება, რომლებიც არ იყო აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში არ იძლეოდა მნიშვნელოვან სხვაობას.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივები

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად.

31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთია:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები
გაცემული სესხები	1,270	1,215
სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება	4,094	4,568
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	5,445	5,099
სხვა აქტივები	171	1,286
	10,980	12,168
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	4,491	5,484
ასანაზღაურებელი ზარალები	3,885	5,035
სხვა ვალდებულებები	463	192
	8,839	10,711

31. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ“
 ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
	დედა კომპანია	დედა კომპანია
გაცემული სესხები	-	-
სადაზღვევო და გადაზღვევის დებიტორული დავალიანება	108	70
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	-	-
სხვა აქტივები	-	-
	108	70
სადაზღვევო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებები	32	29
ასანაზღაურებელი ზარალები	-	-
სხვა ვალდებულებები	21	21
	53	50

	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები	საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი პირები
შემოსავალი და ხარჯები	2020	2019
სადაზღვევო პრემია	1,391	1,510
სადაზღვევო ზარალები	(15,353)	(23,355)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	(9)	(13)
საპროცენტო შემოსავალი	716	111
საპროცენტო ხარჯი	-	(125)
	(13,255)	(21,872)

	დედა კომპანია	დედა კომპანია
შემოსავალი და ხარჯები	2020	2019
სადაზღვევო პრემია	33	27
სადაზღვევო ზარალები	-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	-	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	-	-
	33	27

ხელმძღვანელი გუნდის კომპენსაცია გამოიყურება შემდეგნაირად:

უმაღლესი რგოლის ხელმძღვანელობა	2020	2019
ხელფასი და სხვა განაცემი	1,342	992
სულ	1,342	992

32. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ აღგილი არ ჰქონია სხვა მოვლენებს, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი L“

მმართველობითი ანგარიშგება

სარჩევი

33. საქმიანობის მიმოხილვა.....	41
34. კორპორაციული მართვის ანგარიშგება.....	43
35. არაფინანსური ანგარიშგება	44

33. საქმიანობის მიმოხილვა**შესავალი**

სს „სადაზღვევო კომპანია იმედი ელი“ წარმოადგენს ლიდერ სადაზღვევო კომპანიას, რომელიც მომხმარებელს ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებს სთავაზობს.

- 1990 წელს პირველი სადაზღვევო კომპანია სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, ხოლო
- 1998 წელს სს „ბისიაი“ დაარსდა.
- 2004 წელს „ბისიაი“-ს აქციათა 100% შესყიდულ იქნა სს „საქართველოს ბანკის“ მიერ.
- 2005 წელს ორივე კომპანიამ მნიშვნელოვანი შესყიდვა განახორციელა: „ალდაგმა“ შემოიერთა სადაზღვევო კომპანია „სელბი“, ხოლო „ბისიაი“-მ სადაზღვევო კომპანია „ევროპეისი“.
- 2006 წლის ბოლოს „ალდაგი“-ს აქციების 100% სადაზღვევო კომპანია „ბისიაი“-მ შეიძინა. მათი გაერთიანების შედეგად, წარმოიქმნა უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია, რომელიც წლების განმავლობაში უპირობო ლიდერ პოზიციას ინარჩუნებდა ქართულ სადაზღვევო ბაზარზე.
- 2011 წელს „სადაზღვევო კომპანია ალდაგმა“ შეისყიდა სადაზღვევო კომპანია შპს „პარტნიორის“ სადაზღვევო პორტფელი.
- 2012 შეისყიდა სადაზღვევო კომპანია სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი ელი ინტერნეშენალ“.
- 2014 წელს განხორციელდა სს სადაზღვევო კომპანია ალდაგის რეორგანიზაცია, კერძოდ, გაყოფა (გამოყოფის გზით), რის შედეგადაც, არსებული სადაზღვევო კომპანიიდან მოხდა ორი საწარმოს გამოყოფა და აღნიშნულის საფუძველზე ფუნქციონირებს სამი კომპანია, კერძოდ:
 1. არსებული სადაზღვევო კომპანია, შეცვლილი სახელწოდებით: სს სადაზღვევო კომპანია იმედი ელი“, რომლის საქმიანობაც არის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის და ასევე, სამოგზაურო დაზღვევა(რომელმაც შეინარჩუნა გაყოფამდე არსებული საწარმოს საიდენტიფიკაციო კოდი, კერძოდ: 204919008);
 2. გამოყოფის შედეგად წარმოშობილი სადაზღვევო კომპანია, სახელწოდებით: სს სადაზღვევო კომპანია ალდაგი“, რომლის ძირითადი საქმიანობა არის ყველა სახის დაზღვევა (მათ შორის, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევა), გარდა ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევისა, ასევე საბანკო გარანტიებით მომსახურება და რომლის საიდენტიფიკაციო კოდია: 404476189;
 3. გამოყოფის შედეგად წარმოქმნილი კომპანია, სახელწოდებით: სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსი“, რომლის საქმიანობა არის ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობა და რომელსაც გადაეცა ყველა ის სამედიცინო დაწესებულება, რომელიც გაყოფამდე არსებული საწარმოს პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში გახლდათ

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს მმართველობითი ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ზოგადი ინფორმაცია

თანამშრომლები - 450 - მდე თანამშრომელი
ოფისები თბილისში - 2
რეგიონალური წარმომადგენლობები - 8
გაყიდვების ცენტრები - 3
ანაზღაურების პუნქტები - 2

ოფისები

თბილისი, ცენტრალური ოფისი
ანა პოლიტკოვსკაიას ქ. #9
T +995 32 2922222 / info@imediL.ge

თბილისი, სერვის კლუბი
ალ. ყაზბეგის გამზირი #44
T +995 32 2922222 / info@imediL.ge

თბილისი, მომსახურების ცენტრი
ალ. ყაზბეგის გამზირი #44
T +995 32 2922222 / info@imediL.ge

თბილისი, ანაზღაურების პუნქტი
ქეთევან წამებულის გამზ. #69
T +995 32 2922222 / info@imediL.ge

რუსთავი, წარმომადგენლობა
ვ. მესხიშვილის ქ. #1, მე-2 სამკურნალო
დიაგნოსტიკური ცენტრი
T (341) 240919 / info@imediL.ge

გორი, წარმომადგენლობა
ცხინვალის გზატკეცილი #14
info@imediL.ge

ფოთი, წარმომადგენლობა
გამსახურდიას ქ. #6
T (0493) 223700 / info@imediL.ge

ზუგდიდი, წარმომადგენლობა
გამსახურდიას ქ. #206
T (0415) 250379 / info@imediL.ge

ქუთაისი, მომსახურების ცენტრი
ა. პუშკინის ქ. #8
T (0431) 252738 / info@imediL.ge

ბათუმი, გაყიდვების ცენტრი
ფარნავაზ მეფის #121
T +995 32 2922 222 / info@imediL.ge

ახალციხე, წარმომადგენლობა
რუსთაველის ქ. #105ა
T (0365) 222258 / info@imediL.ge

თელავი, წარმომადგენლობა
ალაზნის გამზირი (თელავის რეფერალური
ჰოსპიტალი)
T (0350) 270788 / info@imediL.ge

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
მოზიდული პრემია	68,555	80,719
გამომუშავებული პრემია	69,494	75,355
ანდერაიტინგის შედეგი	18,589	11,248
წმინდა მოგება	7,475	4,804

ბიზნესის სტრუქტურა

კომპანიის მომსახურების სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია თითოეული მომხმარებლისადმი ინდივიდუალური მიდგომა. მათი ინტერესებისა და მოთხოვნების გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს, შევქმნათ მაღალი ხარისხის, მომხმარებელზე მორგებული პროდუქტები, რაც უფრო კონკურენტულს ხდის კომპანიის საქმიანობას.

სადაზღვევო კომპანია იმედი ელი ჯანმრთელობისა და სამოგზაურო დაზღვევის პროდუქტებს სთავაზობს კორპორატიულ და საცალო კლიენტებს.

სწორედ ჯანმრთელობის მაღალხარისხიანი სერვისების შეთავაზების მიზნით შევქმენით პროდუქტების რამდენიმე ხაზი, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს დაზღვეულს გამარტივებული პროცედურების გავლით მიიღოს მაღალი ხარისხის სამედიცინო მომსახურების ფართო სერვისები.

საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. 2019 წლის 31 დეკემბრისათვის კომპანიის წმინდა მოგება შეადგენდა 4,804 ათას ლარს. 2020 წლიდან კომპანიამ გააუმჯობესა თავისი ოპერაციები, რის შედეგადაც გამოიმუშავა 7,475 ათასი ლარის წმინდა მოგება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის.

კომპანიისათვის 2021 წლისათვის ძირითადი სტრატეგიული გეგმებია:

- გაზარდოს დაზღვეულების რაოდენობა მათ საჭიროებებზე უკეთ მორგებული პროდუქტების შეთავაზებით. ამის მიღწევა შესაძლებელია, ასევე, ჯერ კიდევ აუთვისებელი SME სეგმენტზე მორგებული პროდუქტების შეთავაზებით.
- განავითაროს და დახვეწოს თავისი ციფრული და სხვა დისტანციური მომსახურებები.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ეს საკითხი დეტალურად არის განხილული ამავე ანგარიშის შესამე პარაგრაფში (არაფინანსური ანგარიშგება).

34. კორპორაციული მართვის ანგარიშგება**მმართველობითი ორგანო**

კომპანიის რისკებისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია ჯგუფის დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აზროლებს ჯგუფის საქმიანობის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აღიარებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას.

კომპანიის აღმასრულებელი ხელმძღვანელობა მონიტორინგს უწევს და აკონტროლებს რისკებს რეგულარულად ამოცანების შეფასებით, სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შექმნით და რისკის კონტროლის როგორც პოლიტიკის, ასევე სახელმძღვანელოების შექმნით და მათი განხორციელების პროცესის კონტროლითა და შესაბამისი დეპარტამენტების შესრულებით.

აღმასრულებელი საბჭო იკრიბება რეგულარულად, რათა დაამტკიცონ თითოეული რეკლამა, რეგულაცია და საკუთარი ორგანიზაციული მოთხოვნილებები მსგავსი პოლიტიკით. პოლიტიკა განსაზღვრავს

კომპანიის რისკის იდენტიფიკაციას და მის ინტერპრეტაციას, სტრუქტურის ლიმიტირებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი ხარისხის და აქტივების დივერსიფიკაცია, კორპორაციული მიზნების მიღწევის სტრატეგიის ჩამოყალიბებას და დააზუსტოს ანგარიშების მოთხოვნები.

35. არაფინანსური ანგარიშგება

არაფინანსური საკითხები

ადამიანის უფლებების დაცვა

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. კომპანია უზრუნველყოფს უსაფრთხო სამუშაო გარემოს თავისი თანამშრომლებისთვის, სადაც მათ ეპყრობიან სამართლიანად და პატივს სცემენ მათ შეხედულებებს. ეს პრაქტიკა ასევე ვრცელდება მომხმარებლებზე, მომწოდებლებზე, კონკურენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებზე.

ჩვენი კორპორატიული სახელმძღვანელო აწესებს პრიორიტეტებს ამ საკითხთან მიმართებაში და აგრეთვე ითვალისწინებს გარკვეულ კონტროლებს, რომელიც დანერგილია კომპანიაში, რათა სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპები ყველა რგოლში დაცული იყოს. სახელმძღვანელო ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანია ცდილობს ეთიკურობის ფარგლებში იმოქმედოს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ კორუფციას დამანგრეველი ეფექტი აქვს როგორც, ზოგადად, ეკონომიკაზე, ისე ბისზნესსა და მის რეპუტაციაზე.

ჩვენი პოლიტიკის ნაწილია, რომ არასდროს მოვითხოვთ, შევთავაზოთ ან გადავიხადოთ ქრთამი, ან რაიმე სახით წავახალისოთ ნებისმიერი ზემოთხსენებული ქმედება.

ბიზნესმოდელის მიმოხილვა

ჩვენი ბიზნეს მოდელი გულისხმობს მომხმარებლისათვის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევის პროდუქტების შეთავაზებას და ამ პოლისების შესაბამისი ანაზღაურების გაცემას, დაფარვების უზრუნველყოფას სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას.

მომხმარებელს შეუძლია ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტების გამოყენებით სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისების მიღება, როგორცაა ჰოსპიტალური სერვისები, ამბულატორიული სერვისები და სტომატოლოგიური სერვისები.

სამედიცინო მომსახურების მისაღებად მომხმარებელი მიმართავს კომპანიის პროვაიდერ კლინიკას და სადაზღვევო პოლისის შესაბამის თანაგადახდის თანხას იხდის მხოლოდ, ან მიმართავს არაპროვაიდერ კლინიკას, სრულად იხდის მომსახურების თანხას და შემდგომ ანაზღაურების მიღების მიზნით მიმართავს კომპანიას.

COVID-19 ის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

2020 წლის მარტში ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ კორონავირუსი COVID-19 პანდემიად გამოაცხადა. COVID-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ეკონომიკურ აქტივობაზე როგორც მსოფლიოში ასევე საქართველოშიც, შემცირდა მომხმარებლის მსყიდველობითი უნარი, თუმცა სადაზღვევო კომპანიებმა შეძლეს სწრაფი რეაგირება.

პანდემიამ დააჩქარა სადაზღვევო კომპანიების გაციფრულება და შედეგად დაიხვეწა დისტანციური და ციფრული მომსახურებები დაზღვეულებისთვის. კომპანიამ თავისი საოპერაციო საქმიანობა პანდემიის საწყის ეტაპზე დისტანციურ რეჟიმზე გადაიყვანა. იმედი ელ-მა მომხმარებელს ზარალის დისტანციურად ანაზღაურების მეთოდები შესთავაზა.

თანხის ასანაზღაურებლად მომხმარებლებისათვის დაიხვეწა კომპანიის „ჯანმრთელობის პორტალი“, სადაც კომპანიამ დაზღვეულს დოკუმენტების წარმოდგენის გამარტივებული მეთოდები შესთავაზა. ასევე სერვის ცენტრებთან განთავსდა სპეციალური ყუთები, სადაც მომხმარებელს დოკუმენტების წარმოდგენა მისი ყუთში მოთავსებით შეუძლიათ.

სადაზღვევო რისკი

სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული რისკი არის რისკი იმისა, რომ სადაზღვევო შემთხვევა დადგება, თანაც მისით გამოწვეული ზარალის ოდენობის და დროის განსაზღვრა შეუძლებელია. ასეთი ხელშეკრულებით განპირობებული ძირითადი რისკი, რომლის წინაშეც ჯგუფი დგას, არის ის, რომ რეალურმა ზარალმა და გადახდილმა ანაზღაურებამ შესაძლებელია გადააჭარბოს სადაზღვევო შემოსავლებს. ამაზე გავლენას ახდენს ზარალის სიხშირე, მასშტაბი, რეალურად გადახდილი ანაზღაურება, რომელიც მოსალოდნელზე მეტია და გრძელვადიანი მოთხოვნის შემდგომი ცვლილება.

სადაზღვევო რისკების მონიტორინგისთვის კომპანია ძირითადად იყენებს ზარალიანობისა და კომბინირებულ კოეფიციენტებს. ზარალიანობის კოეფიციენტი მიიღება წმინდა სადაზღვევო ზარალების შეფარდებით წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან. კომბინირებული კოეფიციენტი წარმოადგენს ზარალიანობის და ხარჯების კოეფიციენტის ჯამს. ხარჯების კოეფიციენტი წარმოადგენს საოპერაციო ხარჯებს, რასაც აკლდება საპროცენტო ხარჯი, შეფარდება წმინდა სადაზღვევო შემოსავალთან, ჯგუფის ზარალიანობისა და კომბინირებული კოეფიციენტები გამოითვლება ნეტოს საფუძველზე შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ზარალიანობის კოეფიციენტი	73%	80%
კომბინირებული კოეფიციენტი	92%	94%

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილი დაზღვევის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების კონვერტაცია ხელშეკრულებების ტიპების მიხედვით:

	31 დეკემბერი, 2020	31 დეკემბერი, 2019
ჯანდაცვა	6,033	6,822
სიცოცხლე	1,313	973
მოგზაურობა	345	457
უბედური შემთხვევა	118	115
	7,809	8,367

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- იმედი L - ის დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენს 180 000 მდე ადამიანს.
- იმედი L - ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 450 -მდე ადამიანს.

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და დირექტორთა საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

მშობელი კომპანიის რისკის მართვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს კომპანიაში.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვეხმარებით დირექტორთა საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორინგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

გენერალური დირექტორი

გივი გიორგაძე:

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი არაფინანსური მაჩვენებელი. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

- იმედი L - ის დაზღვეულთა რაოდენობა შეადგენს 180 000 მდე ადამიანს.
- იმედი L - ში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 450 -მდე ადამიანს.

გამოყენებული პოლიტიკის აღწერა

კომპანიაში დანერგილია და გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკა რომელზეც ამ ანგარიშშიც იყო საუბარი.

კომპანიაში დანერგილია ე.წ. მამხილებელი (whistleblowing) და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომლის მიზანია კორუფციის რისკების მინიმუმამდე შემცირება. მამხილებელი პოლიტიკის ფარგლებში თანამშრომელს აქვს საშუალება ანონიმურად დასვას საკითხი ნებისმიერ ბიზნესპროცესის გამართულობასა და სამართლიანობაზე. თითოეული შემთხვევა დეტალურად განიხილება და დირექტორთა საბჭოს მიხედვით, ეს პოლიტიკა ეფექტურადაა დანერგილი კომპანიაში.

ჩვენ ვაცნობიერებთ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ მნიშვნელობას. ჩვენი კორპორატიული პოლიტიკის მიხედვით ყველა თანამშრომელს უწევს სამართლიან და თანასწორ გარემოში მუშაობა და ეს პრინციპი ყველა რგოლში დაცულია.

მშობელი კომპანიის რისკის მართვის დეპარტამენტი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა რისკის მართვის პოლიტიკის შემუშავებაში მთელს კომპანიაში.

ჩვენ ასევე შევიმუშავეთ კონფლიქტების ავტორიზაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს კომპანიის მასშტაბით და ვეხმარებით დირექტორთა საბჭოს მსგავსი საკითხების მონიტორინგსა და კონფლიქტის დაშვებადობის განსაზღვრაში.

გენერალური დირექტორი

გივი გიორგაძე:

29 სექტემბერი 2021

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“)
მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება**

სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ-ის“ „აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული არამოდიფიცირებული დასკვნა 2021 წლის 26 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2021 წლის 26 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვითარებთ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2021 წლის 15 აპრილს. 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა სათანადო მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თი ეი“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის („კანონი“) მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული მოსაზრება

სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ-ის“ აქციონერებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ სააქციო საზოგადოება „სადაზღვევო კომპანია იმედი ელ-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის და გამოვეცით აუდიტორული არამოდიფიცირებული დასკვნა 2021 წლის 26 აპრილს. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს 2021 წლის 26 აპრილის შემდეგ მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავგიტარებია მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმ მოვლენების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიშგება

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავდა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელი დასკვნა არ წარმოგვიდგენია მასზე 2021 წლის 15 აპრილს. 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდა ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის გამოცემის შემდგომ.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად თანხვედნილი ფინანსურ ანგარიშგებასთან და არის თუ არა სათანადო მარეგულირებელი ნორმატიულ აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიერ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით, არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

დასკვნა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი აზრით, 2020 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- თანხვედნილია 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციასა და შესაბამისობაშია სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან.

სოფიკო ღუდუშაური, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-835962)

შპს „ნექსია თი ეი“ (SARAS-F-550338)

30 სექტემბერი 2021

თბილისი, საქართველო

